## ნასყიდობის ხელშეკრულება № 38

16.09.2014წ.

### I მხარეები

1.1. ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1.1. თვითმმართველ ქალაქ "ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახურის ("მყიდველი"),მისი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით.

1.1.2. - - შპს ელექტრონი - - ("გამყიდველი"), მისი დირექტორის - - - - - - - - - - - - - - - - - სახით.

### II ხელშეკრულების საგანი

2.1. "გამყიდველი" ვალდებულია მიაწოდოს "მყიდველს" საჭირო საქონელი (- სადენი ABC 2x25 - - - - - - - - - - - - - - ), ხოლო "მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს ღირებულება და მიიღოს "გამყიდველის" მიერ მიწოდებული საქონელი.

### III საქონლის ფასი

3.1. საქონლის ფასი განისაზღვრება არსებული საბაზრო ფასებით "მყიდველსა" და "გამყიდველს" შორის შეთანხმებით ფასით 144 (ასორმოცდაოთხი) ლარი

### IV მხარეთა მოვალეობები

4.1. "გამყიდველი" ვალდებულია:
გადასცეს "მყიდველს" ხარისხიანი საქონელი.

4.2. "მყიდველი" ვალდებულია:

4.2.1. გადაიხადოს ნაყიდი საქონლის ღირებულება დროულად.

4.2.2. შეძენილი საქონლის გატანა სავაჭრო ობიექტებიდან უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით და ტრანსპორტით

### V ანგარიშსწორების და ანაზღაურების ფორმა

5.1. გაყიდულ საქონელზე ანგარიშსწორება უნდა მოხდეს მისი გატანის დღეს. გადახდა წარმოებს საქართველოს ეროვნული ვალუტით ნაღდი ან უნაღდო წესით.

### VI ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან მოშლა

6.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეების მიერ შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მხოლოდ წერილობითი ფორმით.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

6.2.1. მხარეთა შეთანხმებით.

### VII დავათა განხილვა

7.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ურთიერთშეთანხმების გზით მოაგვარონ ყოველგვარი სადაო საკითხი წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

7.2. თუ დავის გადაჭრა არ მოხერხდა ურთიერთშეთანხმების გზით მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს.

### VIII ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 30 სამუშაო დღით ------ ვადით.

### IX ხელშეკრულების პირობები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9.2. ისეთ შემთხვევაში რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

### X მხარეთა რეკვიზიტები

„მყიდველი"

თვითმმართველ ქალაქ "ქალაქ მცხეთის
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური
ს/კ 436036246
ა/ა GE62LB0115149359370000
ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი
ბ/კ 220101415 LBRTGE22

„გამყიდველი"

შპს ელექტრონი
ს/კ 205048330
GE54PC0133600100061346
სს პროკრედიტ ბანკი